ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ბუნებისმეტყველება

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53 .

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

(1) **1.** ცოცხალი ორგანიზმისთვის დამახასიათებელია:

I – თავისივე მსგავსის წარმოქმნა

II – ზრდა და განვითარება

III – კვება და სუნთქვა

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **2.** კვლევის რომელ ხელსაწყოს იყენებენ ცოცხალი ბუნების შესასწავლად?



ა) მხოლოდ A და B;

ბ) მხოლოდ A და C;

გ) მხოლოდ B და C;

დ) A, B და C.

(1) **3.** რომელი ციფრით აღნიშნული ორგანო **<u>არ მონაწილეობს</u>** მცენარის უსქესო გამრავლებაში?



ა) 1;

ბ) 2;

გ) 3;

დ) 4.

(1) **4.** რომელი ორგანოების მუშაობა აქტიურდება ცურვის დროს?

I – ფილტვების II – გულის III – ჩონჩხის კუნთების

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **5.** როგორ გარემოში ბინადრობს ილუსტრაციაზე გამოსახული მელა?

ა) უდაბნოში;

ბ) გაშლილ ველებზე;

გ) ჭაობიან ადგილებში;

დ) ტყიან გარემოში.

(1) **6.** რომელი პროცესის განხორციელება ეხმარება ადამიანს გარემოს დაცვაში?

I – გარემოს ინსექტიციდებით დამუშავება

II – მეორეული რესურსების რეციკლირება

III – რადიოაქტიური ნივთიერებების მიწაში დაფლვა

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) I და II.

(1) **7.** რომელი პროცესები მიმდინარეობს ფოთოლში ბაგეების მეშვეობით?

I – აირთა ცვლა II – წყლის აორთქლება III – ჟანგბადის გარემოში გამოყოფა

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **8.** ჩამოთვლილი ორგანიზმებიდან რომელია II რიგის მომხმარებელი?

ა) სპილო;

ბ) ციყვი;

გ) ბაყაყი;

დ) შველი.

(1) **9.** მცენარე შეიძლება გამრავლდეს:

I – სპორით II – თესლით III – ღეროთი

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **10.** რომელი ნიშან-თვისებაა დამახასიათებელი ამფიბიებისთვის?

1. ქვირითით გამრავლება
2. შთამომავლობაზე ზრუნვა
3. ცივსისხლიანობა
4. ლაყუჩებით სუნთქვა

ა) 1 და 2;

ბ) 3 და 4;

გ) 1 და 3;

დ) 2 და 4.

(1) **11.** ჩამოთვლილთაგან რომელია გაღიზიანებადობის (მგრძნობელობის) მაგალითი?

I – მზესუმზირას ყვავილების მზისკენ მიტრიალება

II – ხორბლის თესლიდან მცენარის აღმოცენება

III – შეხებისას მიმოზას ფოთლების დაკეცვა

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **12.** სისხლის მიმოქცევის სისტემაში:

ა) არტერიულ სისხლს გამოაქვს ორგანოებიდან მავნე ნივთიერებები;

ბ) ვენურ სისხლს მიაქვს ყველა ორგანოსთან ნახშირორჟანგი;

გ) არტერიულ სისხლს მიაქვს ორგანოებთან საკვები ნივთიერებები;

დ) ვენურ სისხლს გამოაქვს ორგანოებიდან ჟანგბადი.

(1) **13.** რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული I რიგის მომხმარებლის ქალა?



ა) მხოლოდ A;

ბ) მხოლოდ B;

გ) მხოლოდ C;

დ) A და B.

(1) **14.** ადაპტაციის რომელ ფორმას იყენებს ჭიამაია მტრებისგან თავის დასაცავად?

I – გამაფრთხილებელ შეფერილობას

II – მფარველობით შეფერილობას

III – მიმიკრიას

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) II და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **15**. ილუსტრაციაზე ციფრებით აღნიშნულია სხვადასხვა მცენარის ნაყოფი და თესლი. რომელი მათგანი ვრცელდება ცხოველების დახმარებით?

1 2 3 4

ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

(1) **16.** რომელი ციფრით აღნიშნული ძვალი უკავშირდება უშუალოდ ხერხემლის მალებს?



ა) 1

ბ) 2

გ) 3

დ) 4

(1) **17.** რას გამოიწვევს ხვლიკების რაოდენობის შემცირება ილუსტრაციაზე გამოსახულ კვებით ჯაჭვში?



ა) გველების რაოდენობის მომატებას;

ბ) ბუების რაოდენობის შემცირებას;

გ) კალიების რაოდენობის შემცირებას;

დ) სიმინდის რაოდენობის გაზრდას.

(1) **18.** რომელი დაავადებებია გამოწვეული ერთუჯრედიანი ორგანიზმებით?

1. მალარია 2. გრიპი 3. ქოლერა 4. შიდსი

ა) 1 და 3;

ბ) 1 და 4;

გ) 2 და 3;

დ) 2 და 4.

(1) **19.** ილუსტრაციის მიხედვით განსაზღვრეთ რომელი სისხლძარღვია დაზიანებული (I) და რა დახმარება ესაჭიროება დაზარალებულს სისხლდენის შესაჩერებლად (II)?

	I	II
ა)	არტერია	ჭრილობის ზევით ლახტის გადაჭერა
ბ)	ვენა	ჭრილობის ქვევით ლახტის გადაჭერა
გ)	არტერია	ჭრილობაზე სუფთა საფენის დადება
დ)	ვენა	ჭრილობაზე მჭიდრო სახვევის დადება

(1) **20.** დიაგრამაზე გამოსახულია თანაბრად მოძრავი ოთხი სხეულის მოძრაობის დრო და სიჩქარეები. რომელ ორ სხეულს შეიძლება გაევლო ტოლი მანძილები?



ა) 1-სა და 2-ს;

ბ) 1-სა და 3-ს;

გ) 1-სა და 4-ს;

დ) 2-სა და 3-ს.

(1) **21.** მოცემულია ცხრილი:

ნივთიერება	დნობის ტემპერატურა °C-ში	დუღილის ტემპერატურა °C-ში
X	-40	30
Y	-10	80

ტემპერატურა შეცვალეს (-20)°C-დან 100°C-მდე. რამდენჯერ შეიცვლებოდა ცხრილში მოყვანილი თითოეული ნივთიერების აგრეგატული მდგომარეობა?

ა) ორივესი თითოჯერ;

ბ) ორივესი ორჯერ;

გ) X-ის ერთჯერ, Y-ის ორჯერ;

დ) X-ის ორჯერ, Y-ის ერთჯერ;

(1) **22.** ნახატზე გამოსახულია სითხიანი მენზურა მასში სხეულის ჩაშვებამდე და ჩაშვების შემდეგ, აგრეთვე იგივე სხეული ელექტრონულ სასწორზე. რისი ტოლია სხეულის სიმკვრივე? პინაზე სხეულის დადებამდე სასწორი განულებული იყო.



ა) 5 გ/სმ³

ბ) 7,6 გ/სმ³

გ) 8 გ/სმ³

დ) 14,4 გ/სმ³

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **23.** ჩამოთვლილთაგან რომელი პლანეტის ბუნებრივი თანამგზავრია ევროპა?

ა) მარსის;

ბ) იუპიტერის;

გ) სატურნის;

დ) ვენერას.

(1) **24.** ფიზიკური მოვლენების დროს ნივთიერება უცვლელი რჩება, ქიმიურის დროს კი იცვლება და სხვა ნივთიერება წარმოიქმნება.

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები?

I – რკინის დამაგნიტება

II – რკინის დაჟანგვა

ა) I – ფიზიკურია, II – ქიმიური;

ბ) I – ქიმიურია, II – ფიზიკური;

გ) ორივე ფიზიკურია;

დ) ორივე ქიმიურია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **25.** სინჯარები, რომლებშიც ოთახის ტემპერატურაზე მოთავსებული იყო A, B და C სითხეები, ჩაუშვეს ყინულიან წყალში. რომელი ნივთიერება გამყარდება ამ დროს?

ინფორმაცია ამ ნივთიერებების ლღობის ტემპერატურათა შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ნივთიერება	**ლღობის ტემპერატურა, °C**
A	−5
B	+5
C	+15

ა) მხოლოდ A;

ბ) მხოლოდ A და B;

გ) მხოლოდ B და C;

დ) სამივე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **26.** მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია <u>**არასწორი**</u>?

I – ატომი შედგება მოლეკულებისაგან

II – მოლეკულები შედგება ატომებისაგან

III – ნივთიერება შედგება მოლეკულებისაგან

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ I და III;

დ) მხოლოდ II და III.

(1) **27.** რომელი ოკეანის რუკის ფრაგმენტია მოცემული დავალებაში?



ა) წყნარი;

ბ) ატლანტის;

გ) ინდოეთის;

დ) სამხრეთის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **28.** რომელ ფოტოზეა ნაჩვენები სეისმოლოგი?





1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **29.** რუკის ფრაგმენტის მიხედვით გამოთვალეთ ზღვის დონიდან დაახლოებით რამდენ მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს B წერტილი?



ა) 131
ბ) 133
გ) 135
დ) 137

(1) **30.** რუკის ფრაგმენტის მიხედვით რომელია *<u>მცდარი</u>* მსჯელობა?



მასშტაბი 1:10 000

ა) ნაკვეთი 1 და 2 მდებარეობს მდინარის მარცხენა სანაპიროზე;
ბ) ხიდზე მდგომი დამკვირვებლისთვის ჭა მდებარეობს ჩრდილოეთით;
გ) მდინარე ცივის მარჯვენა ნაპირს მიუყვება ხრამი;
დ) რუკაზე დატანილია ფართოფოთლოვანი ტყის კორომი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **31.** ჩამოთვლილთაგან, რომელ ქალაქამდეა უფრო მოკლე, პირდაპირი მანძილი ქალაქ სიდნეიდან?



ა) თბილისამდე;
ბ) სან-პაულუმდე;
გ) ლონდონამდე;
დ) სან-ფრანცისკომდე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **32.** რუკაზე აღნიშნული ლოკაციებიდან რომელი *<u>არ არის</u>* პინგვინისნაირთა გავრცელების ბუნებრივი არეალი?

ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **33.** რუკაზე აღნიშნული ლოკაციებიდან რომელია მაღალი სეისმური აქტივობის ზონა?



ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **34.** ქვემოთ მოცემული ვენის დიაგრამებიდან რომელია სწორი? დიაგრამები შედგენილია შემდეგი სქემით: 1. მოგზაურობის დამფინანსებელი ქვეყანა; 2. მოგზაურობის ძირითადი მიზანი; 3. პირველი მოგზაურობის ჩატარების საუკუნე; 4. მოგზაურობის შედეგი.

ა)



ბ)



გ)



დ)



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **35.** რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული სქემაზე მანტია?



ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **36.** ქვემოთ მოცემულია მზის სისტემის გაზის გიგანტების ჯგუფის პლანეტების აფელიუმები (პლანეტის ორბიტზე მზიდან მაქსიმალურად დაშორებული წერტილი). რომელია პლანეტა იუპიტერის აფელიუმი?

ა) 816,62 მლნ.კმ;

ბ) 1 513,32 მლნ.კმ;

გ) 3 004,41 მლნ.კმ;

დ) 4 553,94 მლნ.კმ.

(1) **37.** სქემებზე ასახული რომელი ქცევაა უფრო მეტად საფრთხის შემცველი ძლიერი და დამანგრეველი მიწისძვრის დროს?







(1) **38.** ჩამოთვლილთაგან, რომელი დასკვნაა მართებული დავალებაში მოცემული სქემიდან გამომდინარე ორბიტაზე დედამიწის A პოზიციასთან მიმართებით?



ა) ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთარია;
ბ) დედამიწაზე კალენდარულად 23 სექტემბერია;
გ) სამხრეთ ნახევარსფეროში ზაფხულია;
დ) ჩრდილოეთის პოლუსზე პოლარული დღეა.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **39.** რომელი ბუნებრივი რესურსის მოპოვებას ასახავს მოცემული ფოტო?

ა) ვერცხლისწყლის;

ბ) ოქროს;

გ) ნავთობის;

დ) მანგანუმის.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

აკადემიური უნარები

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I თანამედროვე რეალობაში, რომელშიც მშობლები უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ თავიანთ შვილებთან, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მორალური განათლების ეფექტური გზების ძიება. არსებობს მოსაზრება, რომ ბავშვების შეხედულებები სწორსა და არასწორზე, სამართლიანობასა და უსამართლობაზე არ წარმოადგენს უფროსთა სწავლების პირდაპირ შედეგს. ერთ-ერთ გზად, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვებს გააცნობიერონ მორალური ქცევის უპირატესობები, ზღაპრებს განიხილავენ.

II ზღაპრებს მეტაფორების საშუალებით მნიშვნელოვანი სოციალური და მორალური ფუნქციის შესრულება შეუძლია ბავშვის განვითარებაში. ზღაპარში არსებული ვიზუალური ხატები შეფარვით ასახავს რეალობას, წარმოადგენს მეტაფორებს, რომლებიც სწორი არჩევანის გაკეთებას უწყობს ხელს. ასეთი მეტაფორები ბავშვებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდის მნიშვნელოვან მორალურ და ცხოვრებისეულ გაკვეთილებს ხატოვანი და ემოციურად მიმზიდველი ფორმით.ზღაპრებში არსებულ მეტაფორებს შეუძლია დაეხმაროს ბავშვს ისეთი აბსტრაქტული ცნებებისა და პრინციპების წვდომაში, რომლებიც სხვაგვარად მათთვის გაუგებარია, რადგან ჯერ კიდევ არ აქვთ ჩამოყალიბებული აბსტრაქტული აზროვნების უნარი. მეტაფორები მორალურად გამართლებულ და გაუმართლებელ ქცევებს ხატებად აქცევს. დადებითი მეტაფორა მიმზიდველს და საინტერესოს ხდის მორალურ საქციელს, უარყოფითი მეტაფორა კი მკითხველს ამორალური ქცევის შედეგებს აჩვენებს და მსგავსი ქცევებისგან თავის არიდებისკენ უბიძგებს. მაგალითად, ,,ბნელი ტყე" დაბნეულობის, შიშის, სირთულეების მეტაფორაა, ,,დრაკონი" – საკუთარ თავში დასამარცხებელი სისუსტეების, ,,ოქროს ვაშლი"– ძნელად მისაღწევი ბედნიერების, რომლისთვისაც გმირი დაბრკოლებებით სავსე დიდ გზას გადის.

შეკითხვებზე გადასვლა: 40 41 42 43 44

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

III ის, რაც ბავშვს მორალურობას შთაუნერგავს, არის არა სიმართლის/კეთილის გამარჯვება ზღაპრის დასასრულს, არამედ მიმზიდველი გმირი, რომელთანაც ბავშვი საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს. ამ იდენტიფიცირების გამო ბავშვი თავის წარმოდგენაში გმირთან ერთად გაივლის ყველა განსაცდელს და მასთან ერთად ზეიმობს სიკეთის გამარჯვებას.ზღაპრების ბავშვებისეული გაგება განსხვავდება ასაკის მიხედვით, ზღაპარი ,,პირდაპირ" არასოდესაა გაგებული. თითოეული ბავშვი ზრაპრის თემას იაზრებს საკუთარი ასაკის, ცოდნის, გამოცდილების, ფიზიკური, ემოციური, კოგნიტური და მორალური განვითარების დონის, იმ მისწრაფებებისა და გამოწვევების შესაბამისად, რომლებიც კონკრეტულ მომენტში კონკრეტული ბავშვის წინაშე დგას.

IV ერთ-ერთ კვლევაში შეისწავლეს 3-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვების მიერ მათთვის უცნობი მეტაფორების გაგების უნარი. აღმოჩნდა, რომ ეს უნარი ასაკის მატებასთან ერთად უმჯობესდებოდა, თუმცა ყველა ასაკის ბავშვს მეტაფორების გასაგებად სჭირდებოდა ვიზუალური ხატი/ილუსტრაცია.

V ზღაპარში ბავშვი ხედავს მოქმედებას კონკრეტულ სცენარში, რაც ეხმარება მას მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრებასა და რეალობაში გადმოტანაში. ასევე, ზღაპარი იწვევს ემოციას, რაც ზრდის ინფორმაციის დამახსოვრების ალბათობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

შეკითხვებზე გადასვლა: 40 41 42 43 44

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **40. რა არის პირველი აბზაცის მიხედვით გამოტანილი მთავარი დასკვნა?**

ა) მშობლები სულ უფრო და უფრო ნაკლებ დროს ატარებენ შვილებთან;

ბ) მორალური ქცევის უპირატესობის გააზრება უფროსთა სწავლების შედეგია;

გ) მორალური განათლების ერთ-ერთ არაპირდაპირ გზად ზღაპრებს განიხილავენ;

დ) ბავშვების მორალური განათლების დონე სულ უფრო და უფრო დაბალი ხდება;

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **41. რა გზით ახერხებს ზღაპარში წარმოდგენილი მეტაფორა გადასცეს ბავშვებს რეალობის შესახებ ღირებული გაკვეთილი?**

ა) მეტაფორები ზღაპარში დაუჯერებელ მოვლენებს რეალისტურ მნიშვნელობას სძენს და საინტერესო ხდება ბავშვისთვის;

ბ) მეტაფორის საშუალებით აბსტრაქტული მორალური პრინციპები თვალსაჩინო ხატებად და ემოციურად მიმზიდველ ქმედებებად არის წარმოდგენილი;

გ) უარყოფითი მეტაფორა მორალურად გაუმართლებელ ქცევას მიმზიდველს ხდის ბავშვისთვის;

დ) დადებითი მეტაფორების საშუალებით წარმოდგენილი მოვლენები გასართობ იერს იძენს და ადვილად გასაგებია ბავშვისთვის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **42. რატომ ახდენს ზღაპარი ბავშვზე უფრო ძლიერ გავლენას, ვიდრე მშობლის ან მასწავლებლის პირდაპირი მითითება?**

ა) ზღაპარში კეთილი ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე, რაც ბავშვისთვის გასაგებ ენაზე არის მიწოდებული;

ბ) ზღაპარი ბავშვის მიერ აღიქმება მისი ასაკის, გამოცდილების, კოგნიტური და მორალური განვითარების დონის შესაბამისად;

გ) ბავშვობის ასაკში მეტაფორები უფრო მარტივი გასაგებია, ვიდრე პირდაპირ ნათქვამი მითითებები;

დ) ბავშვი საკუთარ თავს ზღაპრის გმირთან აიგივებს, მასთან ერთად ხდება მოქმედი გმირი და ამ გზით უკეთ იაზრებს ამა თუ იმ ქცევის გამართლებულობას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **43. ჩამოთვლილთაგან, რომელი მოსაზრების არგუმენტად გამოდგება მეოთხე აბზაცში წარმოდგენილი კვლევის შედეგი?**

ა) ბავშვების მორალური განვითარების ერთადერთი წყარო არის ზღაპრებში წარმოდგენილი მეტაფორები;

ბ) ბავშვების სწავლების პროცესში აბსტრაქტული იდეების გადმოცემას რეკომენდებულია ახლდეს ხატოვანი მასალა;

გ) ბავშვებს უკვე ადრეული ასაკიდან აქვთ უნარი გაიაზრონ აბსტრაქტული იდეები და მორალური დილემები;

დ) ბავშვებს უჭირთ ზღაპრის მთავარი იდეის გაგება ,,პირდაპირ", ამაში მათ მათი ცოდნა და გამოცდილება ეხმარება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **44. ჩამოთვლილთაგან რომელია ზემოქმედების მთავარი გზა, რომლის საშუალებითაც ზღაპრები ეხმარება ბავშვებს მორალური ქცევის გააზრებაში?**

ა) ემოციური ჩართულობა და ვიზუალური მეტაფორები;

ბ) ზღაპრის ენის სიმარტივე - ცხადად გადმოცემული იდეები;

გ) ზღაპრის ტრადიციული სტრუქტურა - ბედნიერი დასასრული;

დ) ზღაპრის გმირთან ასაკობრივი სიახლოვე და კონკრეტული სცენარი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(9) **45. ანალიტიკური წერა**

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დავალებას. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ, მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ა) მასწავლებლის მიერ საშინაო დავალებების რეგულარულად მიცემა აუცილებელია, რათა მოსწავლეებმა შეიძინონ საგნობრივი ცოდნა და განივითარონ პრაქტიკული უნარები.

ბ) საგნობრივი ცოდნის შეძენისა თუ პრაქტიკული უნარების განსავითარებლად ერთმნიშვნელოვნად ეფექტურ საშუალებას სკოლა და საგაკვეთილო პროცესი წარმოადგენს, რაც დღის წესრიგიდან ხსნის მოსწავლის საშინაო დავალებებით რეგულარულად დატვირთვის საკითხს.

თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.